603/2ш/10167

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაისობას გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 მაისი, კვირა, 1988 წ.
№ 85 (9752) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## კვლავ „ოქროს დუბლი“

**მარინა დობრანჩევა, ირინა კოჩეროვა, ტატიანა ტურიშჩევა და ნინო სალუქვაძე, — აი, ის ოთხეული, საიდანაც, ყველაზე უფრო სავარაუდოა, აირჩევა ჩვენი ოლიმპიური გუნდი ქალთა შორის პისტოლეტის სროლაში.**

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, მაინც ვის მიანიჭებენ უპირატესობას ქვეყნის ნაკრების მწვრთნელები ამ ოთხეულიდან, მაგრამ გასული წლისა თუ წლევანდელი შეჯიბრებების მიხედვით ნინო სალუქვაძე აშკარა ლიდერად უნდა ჩაითვალოს. ეს ნათლად დადასტურდა ახლაც, ეშერაში გამართულ ქვეყნის პირველობაზე, სადაც უძლიერესთა კვარტეტიც ასპარეზობდა, ნინო შესანიშნავად გამოვიდა როგორც მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში (მპ-5), ისევე პნევმატური იარაღით (პპ-2) შეჯიბრებაში და ორი გამარჯვება იზეიმა. პირველ დისციპლინაში მან ძირითად სერიებში 594 ქულა მოაგროვა, შემდეგ მას ფინალის 97 ქულაც დაუმატა და 691 ქულით დაიკავა პირველი ადგილი. პნევმატური პისტოლეტით გამოსვლაში კი ნინოს ძირითად ასპარეზობაში 387 ქულა ჰქონდა, ხოლო ფინალში პირდაპირ ბრწყინვალედ ისროდა — 103, 7 ქულა 100 შესაძლებლიდან (სპორტსმენს ზუსტად ათიანების ცენტრში მოხვედრისთვის დამატებითი ქულები ეწერება).



# სოციალური დაკვეთა

სპორტის აღმზრდელობითი ფუნქცია ყველას კარგად მოეხსენება. მისი გავლენის სფერო არა მარტო მომეცადინეებზე, არამედ გულშემატკივრებზეც ვრცელდება. ეს ზოგადად, მაგრამ კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გააქტიურეს მუშაობა ამ მიმართებით პარტიულმა, საბჭოთა, სხვა ორგანიზაციებმა — პროფკავშირმა, კომკავშირმა, რესპუბლიკის სპორტსახკომმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ. უნდა ითქვას, რომ სადირექტივო ორგანოების მიერ შემუშავებულ კომპლექსურ ღონისძიებებში საერთო სამოქმედო პროგრამა მწყობრ სისტემად ჩამოყალიბდა. დღევანდელობის სულისკვეთებაა, რომ სპორტული ასპარეზობების ორგანიზატორები საზოგადოებრივ აზრსაც ითვალისწინებენ, ამან ღონისძიებების სანახაობრივი ეფექტიანობა უფრო აამაღლა, პაუზებს კი ემოციური დატვირთვა მისცა... სპორტული ასპარეზობა, როგორც სანახაობა, მიზნობრივად უფრო ასრულებს აღმზრდელობით ფუნქციას, როცა მაღალია მისი ჩატარების კულტურა. ასეთ ღონისძიებებზე მაყურებელი საზეიმო განწყობით მიდის. სასარგებლო მუშაობას ეწევა გულშემატკივართა კლუბები. ბევრი რამ გაკეთდა თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, ლანჩხუთში... ახლა საფეხბურთო მატჩებზე შეხვედრების „შევსების“ თბილისელთა გამოცდილება რესპუბლიკის პირველობის მატჩებზეც გადაიღეს. მაგალითად, ზესტაფონში მაყურებელს სთავაზობენ საინტერესო პროგრამას და, როგორც ამ დღეებში შევიტყვეთ, აქ ახლო მომავალში სტადიონზე მოსული გულშემატკივრები იხილავენ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს არა მხოლოდ მასპინძელი, არამედ სტუმრად ჩამოსული რაიონების წარმომადგენელთა მონაწილეობით. მაყურებლის, გულშემატკივრის აღზრდაში დიდი წვლილი შეაქვთ საუკეთესო სპორტულ კოლექტივებს, ცნობილ სპორტსმენებს. ავიღოთ თუნდაც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა, მოცურავეთა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის, პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ვეტერან სპორტსმენთა თაოსნობა, რომლებიც ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს შეფობენ. ვფიქრობთ, უფრო უნდა გაღრმავდეს სტუდენტთა „გიგანტურ თამაშებში“ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა, ამ სასწავლებლების ხელმძღვანელთა მონაწილეობა. სტუდენტთა გვერდით მათი გამოსვლა სპორტულ სარბიელზე, თუნდაც ტრიბუნიდან გულშემატკივრობა, დაგვეთანხმებით, რამდენს ნიშნავს.

ახლა, ალბათ დროა იმაზეც ვიზრუნოთ, რომ სპორტულ ღონისძიებებზე ორგანიზებულად, მასობრივად, აღმზრდელებთან, შეფ ცნობილ სპორტსმენებთან ერთად დავასწროთ სკოლები და კლასები, სპორტული სკოლების აღსაზრდელები. გულშემატკივართა კლუბებმა კი მსხვილი საწარმოების და ორგანიზაციების კომკავშირელებთან ერთად შეფობა უნდა აიღონ სტუმარ გუნდებზე, მოაწყონ მათთან შეხვედრები. ჩვენი საზოგადოებრიობა იწონებს იმ შეუნელებელ ბრძოლას, რასაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ეწევიან სპორტულ სარბიელზე საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ — სულ ერთია, მაყურებელია დამნაშავე თუ სპორტსმენი.

ჩვენს ხალხს კარგად ესმის სპორტის აღმზრდელობითი ფუნქცია, მისი საზოგადოებრივი დანიშნულება, ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ სპორტმა ეს უმნიშვნელოვანესი სოციალური დაკვეთა მთლიანად და წარმატებით შეასრულოს.



## ყმაწვილებს უხმობს ბეისბოლი

**ბვიან**, რა თქმა უნდა, არავისთვის არ არის — ჩვენს ქვეყანაში ეს-ესაა დაინერგა ბეისბოლი და ყველას, ვისაც სამისო ნიჭი აღმოაჩნდება, მწვრთნელები სიამოვნებით მიიწვევენ საქართველოს ბეისბოლისტთა გუნდში, მაგრამ თქვენ, ათიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის ყმაწვილებს, ნამდვილად ბედმა გაგიღიმათ: ჩვენი ბეისბოლი ხომ თქვენთან ერთად უნდა გაიზარდოს. ამიტომაა, რომ ამ ახალ ოლიმპიურ სახეობას, უპირველეს ყოვლისა, თქვენ სჭირდებით.

ამ რამდენიმე დღის წინათ გაუწყეთ, რომ იხსნება თბილისის განათლების სამმართველოს რეგბისა და ბეისბოლის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა. სკოლაში მიღების დროსა და პირობებს შეგატყობინებთო, დაგპირდით. და აი, როგორც სკოლის ხელმძღვანელობამ გვაცნობა, დაიწყო ბეისბოლის ჯგუფებში მეცადინეობის მსურველთა შერჩევა.

სკოლაში სამეცადინოდ იწვევენ 1972-78 წლებში დაბადებულ მოზარდებს.

შესარჩევი გამოცდები — მოკლე მანძილზე რბენაში, ბურთის სიშორეზე და სიზუსტეზე ტყორცნაში — ჩატარდება 3,4 და 6 მაისს 15-დან 17 საათამდე „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

თან იქონიეთ სპორტული ფორმა.

**წინადადებით შემოვდივარ!**

## ფიზკულტურა ბაგა-ბაღებში — სამკურნეო ანგარიშზე

**ძვირფასო რედაქცია**, მთელი ჩვენი ოჯახი 25 აპრილს დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს საქართველოს ტელევიზიით ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის შეხვედრის ვიდეოჩანაწერს. მე პროფესიით ექიმი ვარ და კარგად ვიცი სხვადასხვა დაავადებების თავიდან აცილების პროფილაქტიკის საქმეში რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზკულტურასა და სპორტს, თუნდაც უბრალო ყოველდღიურ ვარჯიშს სუფთა ჰაერზე. პირდაპირ გეტყვით, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმან, რომ ამ შეხვედრისას ხაზი გაესვა მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში ფიზკულტურისა და სპორტისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების აუცილებლობას.

ჩვენში, ადამიანზე, მის ნორმალურ ფიზიკურ განვითარებაზე ზრუნვა სულ პატარაობიდან, ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდეც კი იწყება. სამწუხაროდ, საბავშვო ბაგა-ბაღებში ყველგან როდია ნორჩების ფიზიკური გაჯანსაღების შესაძლებლობები, არ არის ფიზაღზრდის მასწავლებლის შტატი, რაც ფიზკულტურის ინსტიტუტში შეხვედრაზეც აღინიშნა. წინადადებით შემოვდივარ, საბავშვო ბაგებსა და ბაღებში შემოვიღოთ ფასიანი მომსახურება, თვეში 2-3 მანეთს ყველა მშობელი გადაიხდის (მასწავლებლის შრომის ანაზღაურებისა და ინვენტარისთვის) თუკი ეცოდინება, რომ მის ბავშვს სისტემატურად ჩაუტარდება მეცადინეობები ფიზკულტურაში. მერწმუნეთ ეს ძალზე აუცილებელია, ამას ვლაპარაკობ როგორც ექიმი და დედა.

საბავშვო ბაგებისა და ბაღების ხელმძღვანელებმა ალბათ მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ სპორტულ ორგანიზაციებთან, რათა ერთობლივი მონდომებით დაჩქარდეს საკითხის გადაჭრა. იქნებ სპეციალური კოოპერატივიც შეიქმნას, რომელიც თავის თავზე აიღებს ამ აუცილებელი და მეტად საჭირო მუშაობის გაძღოლას.

ნუ დავაყოვნებთ!

**ლალი კუპრეიშვილი,**
ექიმი-თერაპევტი.
თბილისი.

**რეზონანსი**

## მისალმებიან, აზრს გამოთქვამენ

**გამოხმაურება პუბლიკაციაზე: „ქმნა მართლისა სამართლისა...“**

არის პუბლიკაციები, რომლისადმი საკუთარი აზრის გამოთქმა მკითხველს, როგორც იტყვიან, ცხელ გულზე სურს და გაზეთის გამოსვლის დღეს დილიდანვე დიდი ჯაფა ადგება რედაქციის მუშაკებს. გუშინაც ასე იყო. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თაოსნობა, რომელმაც დააწესა პრიზი ობიექტური მსაჯობისათვის, მკითხველთა ცხოველი ინტერესი და, არ დავმალავთ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

— მივესალმებით ახალ თაოსნობას, კარგია რომ სპორტისადმი და კერძოდ ფეხბურთისადმი დაინტერესებას იჩენს ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორიცაა კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და მისი დირექტორი, ბატონი რეზო ჩხეიძე. ახალი პრიზი, ცხადია, მსაჯობის დონის თავისებური ბარომეტრი იქნება და, სანუკვარი რელიქვია მისი მფლობელისთვის — სახელოვანი კინოსტუდიისაგან მინიჭებული — ასეთია პედაგოგ ბორის ცხადაძის აზრი.

ფეხბურთის გულშემატკივარი, რუსთაველი მშენებელი ავთანდილ სალარიძე მართალია იწონებს ახალ თაოსნობას, მაგრამ შენიშნავს, რომ ამ პრიზის დაწესებით, თუ კარგად არ მოვიფიქრეთ ვინ დავაჯილდოვოთ და რა ღირსებისთვის, შეიძლება მითქმა-მოთქმისა და ჭორების საბაბი მივცეთ იმ ადამიანებს, ვინც ამ კეთილშობილური პრიზის მნიშვნელობის შეგნების დონემდე ჯერ არ ამაღლებულა.

გივი მამულაშვილი — თბილისელი ბიოლოგი: თუ შეიძლება ჩვენი ოჯახის დიდი მადლობა გადაეცით კინოსტუდიის კოლექტივს და პირადად ბატონ რეზო ჩხეიძეს იმისათვის, რომ ნოვატორობა ამ საქმეშიც გამოიჩინეს. ვიდრე ცნობა გაზეთში გამოქვეყნდებოდა მეგობრებისაგან შევიტყვეთ, ასეთი ჯილდოს შესახებ. გავიგეთ ისიც, რომ პრიზი — „ვეფხისტყაოსანი“ სპეციალურად მოიჭედება და საგანგებოდ გაფორმდება. ვფიქრობთ, პრიზი უფრო ავტორიტეტული გახდება თუ იგი თბილისში გამართულ ცალკეულ მატჩებზე კი არა, საერთოდ ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გადაეცემათ საუკეთესო მსაჯებს. რჩეულ არბიტრთა ათეულს, მოგეხსენებათ ყოველწლიურად ავლენს ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია. შეიძლება სხვას სხვა წინადადება აქვს. იმედია, პრიზის დაწესების ორგანიზატორები სულგრძელად მოგვიტევებენ, რომ ჩვენ აზრს საჯაროდ გამოვთქვამთ.

## ჭაბუკები დიდი იმედებით

**წლეულს თავისუფალი სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართება: თურქეთში ჩატარდება ევროპის პირველობა 1972-1973 წლებში დაბადებული სპორტსმენებისათვის, ხოლო მათზე უფროსები (1970-1971 წწ.) ავსტრიაში, მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებენ.**

სწორედ ამ ტურნირებისათვის ქვეყნის ნაკრები გუნდების კანდიდატთა შერჩევას ისახავდა მიზნად საკავშირო შეჯიბრება, რომელსაც დნეპროპეტროვსკმა უმასპინძლა. მართალია, იქ ჩვენმა ფალავნებმა უმცროს ასაკში მეტ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ რეალური სურათი ისეთია, რომ შესაძლებელია უფროსთა ნაკრებში მეტი მოჭიდავე მოხვდეს. საქმე ისაა, რომ, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ ასაკის სპორტსმენები — ხინჩიკაშვილი, გაბედავა და ვალიევი სირიაში, საერთაშორისო ტურნირზე იყვნენ და დნეპროპეტროვსკში გამოსვლა ვერ შეძლეს. როგორც გახსოვთ, სირიაში სამივემ გაიმარჯვა. ამით ჩვენმა მოჭიდავეებმა ქვეყნის ნაკრებში უფრო განიმტკიცეს პოზიციები.

საკავშირო შეჯიბრებაზე თავი გამოიჩინა ყვარლელმა გიორგი ივანიშვილმა (მწვრთნელები თამაზ კონჭოშვილი და თამაზ ბენდიანიშვილი), რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა 74 კგ წონით კატეგორია-



ზვიად ლოლუა



ზაზა ზოზიროვი

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში

# მადლი ეროვნული საუნჯისა



**ბოლო** ხანს შედარებით გამოცოცხლდა ქართული ჭიდაობა, ინტერესი მოემატა შეჯიბრებებს და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, მან თანდათან შემოიკრიბა მაყურებელი. თუ როგორია ეს მაყურებელი, ამის სანახავად შაბათობით თბილისის სახელმწიფო ცირკს უნდა ეწვიოთ, სადაც ვნებათა ღელვა ხშირად კულმინაციას აღწევს და ზოგჯერ თავშეკავების ჯებირსაც გადალახავს ხოლმე.

ცირკი შემთხვევით არ გვიხსენებია — აქ მეტად საინტერესო შეჯიბრება იმართება საქართველოს სოფლებსა და ქალაქების უბნებს შორის რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. ამ ტურნირმა, რომელიც ახალი შეჯიბრებაა (სულ მეორე წელია რაც ტარდება), აგრეთვე სხვა ასპარეზობებმა (მაგალითად, „ნორჩი ლენინელის“ პრიზზე, აბსოლუტური პირველობა და სხვა) ხელი შეუწყვეს ქართული ჭიდაობის იმ გარკვეულ შემობრუნებას, რომლის შესახებ ზემოთ ვთქვით. ამ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ჩემპიონატსაც თავისი ზონალური ტურნირებითურთ.

წერილში სწორედ ამ შეჯიბრებაზე, უფრო სწორად კი მის ფინალზე უნდა მოგითხროთ, რომელიც გასულ კვირას გაიმართა მცხეთაში. მცხეთელებმა გულთან ახლოს მიიტანეს მამაპაპური შეჯიბრება და კარგი მასპინძლობაც გასწიეს (მთავარი მსაჯი აბესალომ წიკლაური). ქალაქის დარბაზში, სადაც ასპარეზობა მიმდინარეობდა, ტევა არ იყო. ეს ნაწილობრივ კასპელ, ხაშურელ, გორელ და სხვა რაიონების გულშემატკივრების „ბრალიც იყო“, რომლებიც თავიანთ ფალავნებს ჩამოჰყვნენ საქომაგოდ.

ახლა მცირე პაუზა გავაკეთოთ და ზონალურ შეჯიბრებებს დავუბრუნდეთ, რომელთა შედეგების მიხედვით შეირჩა 12 საუკეთესო კოლექტივი ფინალში მონაწილეობის მისაღებად. სულ ორ ზონაში ჩატარდა ასპარეზობა — ერთი დასავლეთ, მეორე — აღმოსავლეთ საქართველოში. რესპუბლიკის სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს მუშაკებმა, რომლებიც ამ ასპარეზობის გამართვას უძღვებიან, ცხადია იციდნენ, რომ ასეთი მკაცრი ტერიტორიული დაყოფა შეიძლება სპორტის სხვა სახეობაში სულერთი იყოს, ქართულ ჭიდაობაში კი — არავითარ შემთხვევაში. აღმოსავლეთ საქართველოს უფრო მდიდარი ტრადიცია გააჩნია და ასეთი რეგიონების განცალკევება, თუნდაც რესპუბლიკის პირველობის საწყის ეტაპზე, სასურველი არ არის.

ზონალურ პირველობებში ერთიორი „სტუმარი“ ყოველთვის მონაწილეობს, აღმოსავლეთ საქართველოს გუნდები „დასავლეთელის“ ზონაში გამოდიან და პირიქით. ზუსტად ძნელი სათქმელია, ასეთი გაცვლების ბრალია თუ საკუთარი მონდომებისა, მაგრამ ახლა ზოგჯერ ვერც გაარჩევ, რომელი ზონის გუნდის ფალავანი ჭიდაობს— შესამჩნევად აიმაღლეს ოსტატობა დასავლეთ საქართველოს მოჭიდავეებმა. მაგალითად, მცხეთაში ცხაკაიელმა ელგუჯა გვასალიამ ისეთი ბრწყინვალე, უჩვეულო ილეთი ჩაატარა, სახტად დატოვა მრავლისმნახველი „აღმოსავლელი“ ფალავნები და მათი გულშემატკივრები.

სასიხარულოა, რომ ფინალში ბევრი ახალგაზრდა მოჭიდავე მონაწილეობდა, და ისიც, რომ სამბისტები და ძიუდოისტები ცოტანი იყვნენ და უფრო ქართული ჭიდაობის მიმდევრები სჭარბობდნენ (ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს). ამ მხრივ ნიშანდობლივია გამოცდილი დავით ხოდელისა (კასპი) და ახალგაზრდა ხაშურელი ფალავნის ალექსანდრე ბულაძის შერკინება. პირველი კარგა ხანს გამოდიოდა ძიუდოში, მეორე კი ჯერჯერობით მხოლოდ ქართულს ჭიდაობს, და მან წმინდა გამარჯვებას მიაღწია ძლიერ მეტოქესთან. რადგან სიტყვამ მოიტანა, აქვე უნდა აღვნიშნოთ ხაშურის გუნდის დიდი წარმატება. ძნელი საფიქრებელი იყო, რომ იგი გუნდურ პირველობაში, ვთქვათ, ქარელის, ანდა გორის ძლიერი გუნდების წინ აღმოჩნდებოდა, მაგრამ სწორედ ასე მოხდა — ხაშურელებმა საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს. გამარჯვება კი კასპელმა ფალავნებმა მოიპოვეს. ცალკეულ მოჭიდავეთაგან განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ახალგაზრდებმა — ალექსანდრე მუმლაძემ, კასპელმა ჯემალ ბეგიაშვილმა, რუსთაველმა ნოდარ ანდღულაძემ, მცხეთელმა ნუგზარ სოხაშვილმა, ყვარლელმა გია შაროვმა.

შესაძლოა მკითხველმა წერილში ზედმეტად ოპტიმისტური ინტონაცია იგრძნო. ამის გასაბათილებლად გვინდა ვთქვათ, რომ ორგანიზატორებმა რამდენიმე რაიონის ფალავნები მოისაკლისეს. განსაკუთრებით საწყენი იყო, რომ სამგზის გაფრთხილების მიუხედავად, მონაწილეები არ გამოგზავნეს ქართული ჭიდაობის ტრადიციული ცენტრებიდან — კახეთის რაიონებიდან: თელავიდან, საგარეჯოდან, ახმეტიდან. მცხეთაში არ ჩამოვიდნენ აგრეთვე გარდაბნის, ახალციხის, მარნეულისა და აფხაზეთის მოჭიდავეებიც.

ქვარცხლბეკი

**56 კგ.** გ. გორგაძე (კასპი); 2. ა. გრძელიშვილი (ონი); 3. გ. კავსაძე (ქარელი).

**60.** ნ. აღდგომელაშვილი (რუსთავი); 2. ჯ. დეკანოიძე (საჩხერე); 3. ზ. გიუნაშვილი (თბილისი).

**64.** შ. ტალახაძე (თბილისი); 2. გ. შაროვი (ყვარელი); 3. ჯ. გულედანი (მესტია).

**68.** მ. ოდიშვილი (დუშეთი); 2. შ. დვალიშვილი (თბილისი); 3. გ. ნოზაძე (ხაშური).

**72.** ჯ. ბეგიაშვილი (კასპი); 2. ე. შუკვანი (მესტია); 3. ე. გვასალია (ცხაკაია).

**78.** ჯ. გუდიევი (კასპი); 2. ნ. სოხაშვილი (მცხეთა); 3. ა. მოსიაშვილი (ქუთაისი).

**84.** რ. გოგიაშვილი (კასპი); 2. მ. ვეშაგური (თბილისი); 3. დ. მეტრეველი (ხაშური).

**90.** თ. აბუაშვილი (გორი); 2. ზ. ებელაშვილი (თბილისი); 3. ვ. ოხიშვილი (კასპი).

**+90.** ა. ბულაძე (ხაშური); 2. დ. ხოდელი (კასპი); 3. მ. კოხოძე (თბილისი). **შენიშვნა.** საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭიდავეებს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭებათ.

**გუნდური:** 1. კასპი — 21 საჯარიმო ქულა; 2. თბილისი — 33; 3. ხაშური — 51.

საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატი სპორტულ ორიენტირებაში

# ჩხიკვთის შემოგარენში

**სპორტული** ორიენტირება ადამიანის ბუნებასთან დაახლოების, ბუნების შეცნობის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. სწორედ ამიტომ არის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში იგი სკოლაში სხვა საგნებთან ერთად ისწავლება. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში სპორტულ ორიენტირებაში წელიწადში დაახლოებით ათჯერ ნაკლები შეჯიბრება იმართება, ვიდრე მოკავშირე რესპუბლიკებში. ამ საკითხს წერილის დასასრულს კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით. მანამდე კი მოკლედ გიამბობთ მოსწავლეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე. ამჯერად შეჯიბრებას თეთრი წყაროს რაიონმა უმასპინძლა. მოსწავლეები სოფელ ჩხიკვთის შემოგარენში, ნ. მუსხელიშვილის ცნობილი წყაროს სიახლოვეს ასპარეზობდნენ. შეჯიბრებაში, რომელიც სამ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა (13, 15 და 17 წლისანი), ტრადიციულად ექვსი გუნდი ჩაება (თბილისის I და II გუნდები, აფხაზეთის, ქუთაისის, აგრეთვე გორისა და ლაგოდეხის რაიონების კოლექტივები).



გიორგი ხიდეშელი.

გუნდური პირველი ადგილისთვის ბრძოლა ძირითადად თბილისის, ქუთაისის და აფხაზეთის წარმომადგენლებს შორის გაჩაღდა. სპორტულ ორიენტირებაში მოცემული მიმართულების ტრასაზე პირველი დღის შედეგებით თბილისელები ერთი ქულით უსწრებდნენ აფხაზეთის გუნდს, ხოლო ეს უკანასკნელი ნახევარი ქულით წინ იყო ქუთაისელებზე. მაგრამ ესტაფეტაში ქუთათურებმა უკეთესი მომზადება გამოამჟღავნეს და, საბოლოო ანგარიშით, ჩამოიტოვეს აფხაზეთის წარმომადგენლები.

პირად შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თბილისის 143-ე სკოლის მოსწავლემ დავით გოგავამ, რომელმაც ზედიზედ მესამედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება. შარშანდელმა ვერცხლის პრიზიორმა, ამავე სკოლის მოსწავლემ კლარა არჩვაძემ ამჯერად ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ჩემპიონატის მთავარ მსაჯს გიორგი ხიდეშელს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა საქართველოში სპორტული ორიენტირების დღევანდელ მდგომარეობაზე.

— ასპარეზობის დაწყებამდე ერთი დღით ადრე თბილისის 143-ე სკოლაში მონაწილეებმა გამოცდა ჩააბარეს თეორიაში. გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ ყველაზე უკეთესად თბილისელი სპორტსმენები იყვნენ მომზადებულნი, ხოლო ყველაზე სუსტად — გორის რაიონის წარმომადგენლები. მოგეხსენებათ, მედალს ორი მხარე აქვს. როდესაც მწვრთნელს მუშაობას ვთხოვთ, მათ სათანადო პირობებიც უნდა შევუქმნათ. აი, ამ მხრივ კი მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელია. სამწუხაროდ, ქუთაისელთა და თბილისელთა გარდა, შეჯიბრების მონაწილე გუნდებს აკლიათ სპორტული სავარჯიშო რუკები. არადა ყველა გუნდს ადგილმდებარეობის მიხედვით ასეთი რუკები აუცილებლად უნდა ჰქონდეს. სამწუხაროდ, საქართველოს სპორტული რუკების შედგენის სპეციალისტი არა ჰყავს. სპეციალისტებს ვიწვევთ ხოლმე კაუნასიდან და მოსკოვიდან. ვფიქრობთ, ამ საკითხის მიმართ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებულმა მოზარდ მთამსვლელთა რესპუბლიკურმა სკოლამ.

სპორტული ორიენტირება საქართველოში, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე არაპოპულარული სახეობაა. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი გუნდი საკავშირო შეჯიბრებებზე გამუდმებით აუტსაიდერთა შორისაა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ სპორტის ეს რომანტიკული სახეობა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სპორტული ორიენტირება ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შესანიშნავი საშუალებაც არის.

პირველი ნაბიჯი ამ მიზნით ფიზკულტურის ინსტიტუტმა უნდა გადადგას. დღემდე ამ სასწავლებელს სპორტული ორიენტირების არც ერთი სპეციალისტი არ გამოუშვია იმ უბრალო მიზეზით, რომ ასეთი სპეციალობა, ქვეყნის სხვა ფიზკულტურის ინსტიტუტებისაგან განსხვავებით (სომხეთის გარდა), აქ საერთოდ არასოდეს ყოფილა. ამავე მიზეზით, რაღა თქმა უნდა, სპორტულ ორიენტირებაში საქართველოს წამყვანი სპორტსმენები იძულებული არიან ჩვენს ფიზკულტურის ინსტიტუტში სხვა ფაკულტეტზე გააგრძელონ სწავლა. ეს საკითხი დროულად უნდა გადაიჭრას. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ, სანამ კადრების საკითხი მოგვარდებოდეს, გულხელდაკრეფილი ყოფნაც არ გვარგებს. ზოგიერთ რეგიონს სპორტული ორიენტირების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები აქვს. მაგალითად, აჭარასა და აფხაზეთში არსებობს ბავშვთა ტურისტული სადგურები, რომელთა ბაზაზეც ადვილად მოხერხდება სპორტის ამ სახეობის განვითარება.

**ჯემალ კასრაძე.**

ქვარცხლბეკი

**უფროსი ასაკი. ბიჭები.** გ. ჩემოდანოვი, 2. ვიაჩესლავ გალჩენკო (ორივე — აფხაზეთი), 3. დ. დიკგაუტი (ქუთაისი).

**გოგონები.** ფ. სოხაძე, 2. ე. ჩესნოივანოვა (ორივე — თბილისი — I), 3. გ. ჩოლოკიანი (აფხაზეთი).

**საშუალო ასაკი. ბიჭები.** მ. მაისაშვილი (ქუთაისი), 2. ვიტალი გალჩენკო (აფხაზეთი), 3. რ. დემუროვი (გორის რ-ნი).

**გოგონები.** კ. არჩვაძე, 2. ი. ვარსემაშვილი (ორივე—თბილისი-I), 3. ბ. ბაკიძე (თბილისი — II).

**უმცროსი ასაკი. ბიჭები.** დ. გოგავა (თბილისი — I), 2. რ. მაისაშვილი (ქუთაისი), 3. მ. ნოზაძე (თბილისი — II).

**გოგონები.** ლ. იურკივ, 2. ტ. სერგეევა (ორივე — აფხაზეთი), 3. ა. ჭოხონელიძე (თბილისი — I).

**გუნდური.** 1. თბილისი-I, 2. ქუთაისი, 3. აფხაზეთი.

# ჭაბუკები დიდი იმედებით

(დასასრული)

ში. იგი სპორტსაზოგადოება „შრომით რეზერვებში“ ვარჯიშობს. ამავე, უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის მეორე ადგილზე გავიდა სოხუმელი გელა უბილავა (97 კგ).

1972-1973 წლებში დაბადებულთა შეჯიბრებაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ჩვენი ორი მოჭიდავე ავიდა. ალბათ მესამეს — ქუთაისელ კახა ლევიძესაც (60 კგ) ეკუთვნოდა ეს პატივი, მაგრამ იგი ჯერ გამარჯვებულად გამოაცხადეს, მერე კი ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ რატომღაც მეორე ადგილი მიაკუთვნეს. არადა, ლევიძე (მწვრთნელები ავთანდილ გოგუაძე და ნოშრევან ქოიავა) არც ერთ შეხვედრაში არ დამარცხებულა. სხვათა შორის, ორთაბრძოლები წრიული სისტემით ჩატარდა და ყველა მეტოქე პირისპირ შეხვდა ერთმანეთს.

55 კგ წონით კატეგორიაში ყველა კონკურენტი დაამარცხა გორელმა ზაზა ზოზიროვმა (მწვრთნელები ნუგზარ სხირელი და ირბეგ ჯიოშვილი) და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. იგი პროფკავშირული სპორტსაზოგადოების წარმომადგენელია. იგივე წარმატება გაიმეორა თბილისელმა ზვიად ლოლუამ („დინამო“, მწვრთნელი გოდერძი ფასურიშვილი) 95 კგ წონაში. ასევე თბილისელი სპორტსმენი დავით ხაბელაშვილი („შრომითი რეზერვები“) მეორე ადგილზე გავიდა (70 კგ).

# უნივერსიადა—88

**რესპუბლიკური** უნივერსიადა ახლა იკრებს ძალას. სპორტის 33 სახეობიდან, სადღეისოდ მხოლოდ რამდენიმე ასპარეზობა დამთავრდა. საინტერესო გამოდგა შეხვედრები კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც თბილისში გაიმართა. „კლასიკოსებში“ ყველას აჯობეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, მეორე ადგილზე გავიდა სპი-ს კოლექტივი, მესამეზე — თბილისის უნივერსიტეტი. ამავე თანმიმდევრობით განაწილდა ადგილები თავისუფალ ჭიდაობაში და ხელბურთში ვაჟთა შორის (ამ ასპარეზობას თელავმა უმასპინძლა). ხელბურთელ ქალთა შორის კი უნივერსიადის გამარჯვებულის სახელი თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის სტუდენტებმა მოიპოვეს. მომდევნო ადგილები, შესაბამისად, ზოოვეტერინარული და ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

ადრე გამარჯვებულთა შორის ვხედავდით აფხაზეთის უნივერსიტეტის ქალთა გუნდს. ახლა, როგორც ჩანს, კოლექტივში მუშაობა მოდუნებულია, რის გამოც უნივერსიტეტელებმა IV-VI ადგილები გაიყვეს.

**უშანგ ჭიჭინაძე,**
**უნივერსიადის პრესცენტრის ხელმძღვანელი.**

**ტექნიკური შედეგები:**

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: **კლასიკური ჭიდაობა** — გ. ბარათაშვილი (სოხ. სუბტრ. ინსტ.), ს. ასათიანი (ფიზკ. ინსტ.), გ. სართიაშვილი (ფიზკ. ინსტ.), გ. ტაბატაძე (სპი), მ. გიგაური (სსი), ზ. მეშველიანი (თსუ), დ. ბაკურაძე (ფიზკ. ინსტ.), ბ. დარჩია (ფიზკ. ინსტ.), თ. თევდორაძე (სპი), გ. შონია (სპი). **თავისუფალი ჭიდაობა.** ე. ნაგიევი (თელავის პედ. ინსტ.), ა. გოგიტიძე (ბათუმის პედ. ინსტ.), ნ. გუგეშაშვილი (სპი), გ. ლომიძე (ფიზკ. ინსტ), ე. ლუდუშაური (სპი), გ. გაბოძე (თელავის პედ. ინსტ.), მ. როზომაშვილი (ფიზკ ინსტ.), მ. რაზმაძე (სპი), კ. კუპატაძე (სსი), ზ. თურმანიძე (სსი).

## კვირიდან კვირამდე

**„იზვესტია“ — 26 აპრილი.** „როგორ მისცეს იულიანა სემიონოვა „ტინტორეტოს“. საბჭოთა კალათბურთის ვარსკვლავის საზღვარგარეთული ცხოვრების ზოგიერთი „წვრილმანი“.

**„სოვეტსკი სპორტი“ — 24 აპრილი.** „უნებლიე მძევალი“. ცნობილ გერმანელ მრბოლს კრისტიან დანერს არც ერთი ფირმა არ აძლევს საასპარეზო მანქანას.

**27 აპრილი.** „ბრძოლა მოედნებზე და მის გარშემო“. კვლავ „ფანატების“ შესახებ.

**29 აპრილი.** „ვის სჭირდება უსწავლელი?“ სპორტი და სკოლაში მეცადინეობა. როგორ შევათავსოთ ერთმანეთთან?

**29 აპრილი.** „აღმასვლა“. მომავალ წელს საბჭოთა ალპინისტები კვლავ აპირებენ ჰიმალაების დალაშქვრას.

**30 აპრილი.** „სასტიკი თამაშის სასტიკი ხასიათი“. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა საკავშირო და საერთაშორისო მატჩებში უხეშობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში



ქუთაისი. ცენტრალური სტადიონის მთავარი მოედანი. 28 აპრილი.

**„მშენებელი" (ქუთაისი) — ეტს (კრასნოიარსკი) 20:15 (11:12).**

**„მშენებელი":** ძაგნიძე; გაბრიჩიძე, დეისაძე, ხარშილაძე (ძოწენიძე, 41), ხამაშურიძე; მაჩიტიძე, ლოსაბერიძე; ფირცხალავა, ტურძელაძე, ობოლაძე, ხვანიძე, ოდიშარია, გაბიძაშვილი (ფხაკაძე, 41), ნაჭყებია, ნემსიწვერიძე.

**ეტს:** ზამარდინი; ხომიაკოვი, კარპოვი, პატლასოვი, გამოზკინი; ნიკოლაევი, კრასნობაევი (სტაროვატოვი, 41); კაბილკინი, კოველი, ბიგბოვი, კისელიოვი, აშურკა, მალინინი, ნეგოდინი, ვოლფი (კოჟუხოვი, 61).

**მსაჯი მიხეილ არხიპოვი (მოსკოვი).**

**გოლები:** „მშენებელი" — 3 ლელო (13, 31: ნაჭყებია; 60, ტურძელაძე), 2 საჯარიმო (8, ძაგნიძე; 68, ხამაშურიძე), 1 რეალიზაცია (60, ხამაშურიძე); ეტს — 5 საჯარიმო (1, 12, 15, 26, 64: ნიკოლაევი).

იმერეთში მოულოდნელად აცივდა, გაწვიმდა და ამან გარკვეული დაღი დაასვა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების ამ პრინციპულ შეხვედრას. ეს გუნდები ამ ორიოდე კვირის წინ შეხვდნენ ერთმანეთს ე. წ. ოთხთა ტურნირში. მაშინ საქართველოს ნაკრებმა, რომელიც „მშენებლის" ბაზაზე იყო დაკომპლექტებული, მინიმალური ანგარიშით დაამარცხა რსფსრ-ის გუნდი (იგივე კრასნოიარსკის ეტს). სწორედ ეს გვაფიქრებინებდა, რომ ამავე გუნდების მორიგი შეხვედრა ძალზე დაძაბულად წარიმართებოდა. ასეც მოხდა. ციმბირელებმა შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადაახალისეს, მაშინ როცა „მშენებელს" ავადმყოფობის გამო რამდენიმე წამყვანი რეგბისტი გამოაკლდა.

კრასნოიარსკელებმა მაღალ ტემპში დაიწყეს თამაში და პირველივე წუთზე ნიკოლაევმა ზუსტად დაარტყა საჯარიმო. მართალია, ორიოდე წუთის შემდეგ ძაგნიძემ საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, მისი ბოლო წარმატება გამოდგა — ქუთაისელთა დამრტყმელს იმ დღეს ზედიზედ ხუთჯერ მოეცარა ხელი, მაშინ როცა ნიკოლაევი შეუდარებელი იყო. მატჩის ამ მონაკვეთში ციმბირელები გაცილებით აქტიურად თამაშობდნენ და საკმაო სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ. მე-12 წუთზე ნიკოლაევმა მეორედ დააწინაურა თავისი გუნდი და სწორედ ამ დროს, როცა ქუთაისელებს უჭირდათ (ეტყობა, აპრილში გამართული შეჯიბრებებით გადაიღალნენ), თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა „მშენებლის" ვეტერანმა ნაჭყებიამ. მან შეძლო თანაგუნდელთა აყოლიება და „მშენებელმაც" რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია. ერთ მომენტში ნაჭყებიამ შერკინების შემდეგ მოკლე ფრთაზე შეუტია და ციმბირელებთან ბრძოლაში ლელოც გაიტანა — 7:6. ამას კრასნოიარსკელებმა ორი ზუსტი საჯარიმოთი უპასუხეს და ამ კრიტიკულ მომენტში კვლავ ნაჭყებიამ ისახელა თავი: ინდივიდუალური გარღვევა ისევ ლელოთი დააგვირგვინა — 11:12.

არანაკლებ დაძაბულად წარიმართა მეორე ნახევარი. მარჯვენა ფრთაზე სტუმრების კარის ხაზიდან 5 მეტრში დანიშნული შერკინების შემდეგ ქუთაისელთა ჰუკერმა ტურძელაძემ მძლავრი ბიძგით შეძლო სამი მეტოქის გზიდან ჩამოცილება და ნახტომში დაამიწა ბურთი. ამჯერად გუნდმა რეალიზაციის შესრულება მეორე ვეტერანს — ხამაშურიძეს მიანდო და მანაც გაამართლა იმედი — 17:12. მალე ნიკოლაევმა შეამცირა ანგარიში და ძნელი სათქმელი იყო, როგორ დამთავრდებოდა ეს უძნელესი მატჩი, ისევ ხამაშურიძეს რომ არ ემარჯვა: მან 40 მეტრიდან (მახვილი კუთხით) შეაგდო საჯარიმო. ამის შემდეგ ნიკოლაევსაც უმტყუნა ნერვებმა და მან ბოლო წუთებში ზედიზედ ხუთჯერ ააცდინა ბურთი მიზანს. ასეა თუ ისე, საბოლოოდ ქუთაისელებმა გაიმარჯვეს და ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერებიც გახდნენ.

**თამაზ ხარაბაძე.**

ქუთაისი.

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 28 აპრილი.

**რრკ „ელმავალი" (თბილისი) — „ელექტრონმაში" (ლენინგრადი) 31:7 (9:7).**

**რრკ:** ი. ლეჟავა; ხვედელიძე, შეჩაზადიშვილი, თავაძე, მეტრეველი; ჩიქვინიძე, ქეიშვილი; ზუბითიძე (გორგაძე, 57), კაკაბაძე, ბაკურაძე, გ. გიუნაშვილი, კაშია, მონიავა (ზახილაშვილი, 65), ლუდუშაური, ნარიმანიძე.

**„ელექტრონმაში":** ბელიაევი; რიუკოვი, ნიკოლაევი, ანდრეევი, უურავლიოვი; ბარკოვსკი, ისაკოვი; პავლენკო (სერგეევი), ილინი, სმირნოვი, ლუნიოვი (კრუგლიკი), მოროზოვი, პოდობინი, ბოლშაკოვი, ჩერნეგა (უოგინი).

**მსაჯი ვადიმ რაზდორსკი (მოსკოვი).**

**გოლები:** რრკ — 3 საჯარიმო (12, 26, 30: ლეჟავა), 4 ლელო (42, ჩიქვინიძე; 56, მეტრეველი; 64, ბაკურაძე; 78, გიუნაშვილი), 3 რეალიზაცია (42, 64, 78: ლეჟავა); „ელექტრონმაში": ლელო (9, პოდობინი) და საჯარიმო (37, ანდრეევი).

ეს მატჩი შესვენებამ როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, ორ ნაწილად გაჰყო: პირველში ზომიერი ზურგქარით „ფრთაშესხმული" სტუმრები ასე თუ ისე ახერხებდნენ შემტევ თამაშს, მეორეში კი მასპინძლები გადავიდნენ იერიშზე, ლამაზადაც ითამაშეს და ოთხი ერთიმეორეზე უკეთესი ლელოც გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი (ოთხი ლელო) ჩვენი გუნდისათვის ბოლო ოთხ სეზონში საუკეთესოა. ამას კი მარტოოდენ სტუმრების სისუსტით ვერ ავხსნით; საქმე ისაა, რომ ლენინგრადელებმა ერთი თვის წინ სათასო მატჩში დაამარცხეს მოსკოვის „ფილი", ერთი-ორჯერ ამ შეხვედრის პირველ ტაიმშიც გაიბრწყინეს, როცა ერთი ამოსუნთქვით, „თამაშ-თამაშ" გადალახეს მთელი მოედანი თავიანთი ნახევრიდან თბილისელთა კარის ხაზამდე. თუ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე, ეს უფრო მათ დიდ შესაძლებლობებზე და ბორჯომში ნაყოფიერად ჩატარებულ შეკრებაზე მეტყველებს.

შესვენებამდე რკინიგზელებს დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ლეჟავამ ამჯერადაც ქულებად აქცია მორკინალთა ძალისხმევით მოპოვებული საჯარიმოები. მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და ქეიშვილმა მოლიდან მიღებული ბურთით მოხდენილად გაარღვია ლენინგრადელთა დაცვა. თითქოს ამას ელოდნენო, მასპინძლები ლაღად, ძალდაუტანებლად ათამაშდნენ. მორკინალებმა, როგორც იქნა, დაამყარეს კავშირი სამმეოთხედელებთან და ბურთს საიერიშოდ ხშირად მათ „უთმობდნენ". ამან, ცხადია, თამაშს მიმზიდველობა შემატა, მით უფრო, რომ სტუმრები თავადაც სათამაშოდ იყვნენ განწყობილნი და, ბევრი სხვა გუნდისაგან განსხვავებით, მარტო თამაშის ჩაშლას არ ცდილან. მატჩი უთუოდ უფრო სანახაობრივი იქნებოდა, თბილისელ მორკინალებს ზედახორისა და მოლიდან ბურთის გამოტანისას გაწაფულად რომ ემოქმედათ. არადა, უამისოდ, კარგად წამოწყებული იერიშები, როგორც კი ლენინგრადელთა დაცვის სიღრმემდე მიაღწევდა, ერთთავად ფერხდებოდა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად რკინიგზელებს ახლა დიდი მუშაობა მართებთ, რაც რიგიანი საწვრთნელი ბაზის გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია. „ლოკომოტივის" დიღმის ბაზაზე ახალი საფეხბურთო ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ გადაწყდა, რკინიგზელი რეგბისტები ოქროყანის ბაზაზე „გადაბარგებულიყვნენ". ცხადია, გუნდის დამკვიდრება ოქროყანაში საშური საქმეა და, იმედია, მალე ეს ბაზა რკინიგზის სამმართველოს გადაეცემა, რათა რეგბისტები არა სტუმრებად, არამედ ბაზის სრულუფლებიან ბატონ-პატრონებად მოგვევლინონ.

**ზაზა ფხაკაძე.**

IV ტურის სხვა შედეგები: ახკ — „ლოკომოტივი" 12:12, „ავიატორი" — სსა 13:7, „ელექტრომაში" (ტირასპოლი) — „სლავა" 15:16.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 30 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" | 4 | 4 | 0 | 0 | 12 | (0) |
| „ლოკომ." (მ.) | 4 | 3 | 1 | 0 | 11 | (—1) |
| ახკ (ალმა-ათა) | 4 | 2 | 2 | 0 | 10 | (—2) |
| „ავიატორი" (კ.) | 4 | 3 | 0 | 1 | 10 | (—2) |
| ეტს (კრასნ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 9 | (—3) |
| სსა (მონინო) | 4 | 2 | 0 | 2 | 8 | (—4) |
| „ელმავალი" | 4 | 2 | 0 | 2 | 8 | (—4) |
| „სლავა" (მ.) | 4 | 1 | 0 | 3 | 6 | (—6) |
| „ფილი" (მ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 5 | (—4) |
| „ვარსკვლავი" (ტაშკ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 5 | (—4) |
| „ელ." (ტირ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 4 | (—8) |
| „ელ." (ლენ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 4 | (—8) |

## მაისი

**2-8. ჩოგბურთი.** ვ. ლეჟავას ხსოვნის საკავშირო ტურნირი. **თბილისი.**

**3-10. აფროსნობა.** 1972-74 წლებში დაბადებულ მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. **თბილისი.**

**5-9. წყალთხილამურები.** საქართველოს პირველობა. **ფოთი.**

**5-8. ძალოსნობა** — სიმძიმის აწევა. საქართველოს ჩემპიონატი. **ჭიათურა.**

**6-8. მძლეოსნობა.** საქართველოს პირველობა სპორტსკოლების აღსაზრდელთა შორის. (1971-73 წლებში დაბადებულთათვის). **ქუთაისი.**

**6-8. მშდ მრავალჭიდი.** გასაწვევთა რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. **თბილისი.**

**6-27. ჭადრაკი.** საქართველოს უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი ვაჟთა შორის. **თბილისი.**

**9-12. ველოსპორტი (ტრეკი).** საერთაშორისო შეჯიბრება „საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე". **თბილისი.**

**10-15. ცხენოსნობა,** საქართველოს იუნიორთა და მოზარდთა პირველობა. **თბილისი.**

**11-15. თავისუფალი სტილით ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

**11-16. სინქრონული ცურვა.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების პროგრამით. **თბილისი.**

**13-17. ძიუდო.** საქართველოს პირველობა 1972-73 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ქუთაისი.**

**13-15. მშდ მრავალჭიდი.** საქართველოს პირველობა სპორტულ ოჯახებს შორის დევიზით — „მთელი ოჯახით სტარტზე!". **ჭიათურა.**

**13-17. სამბო.** საქართველოს პირველობა 1970 და უფრო ადრე დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **გორი.**

**13-20. აფროსნობა.** საქართველოს პირველობა 1970-74 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. **თბილისი.**

**14-15. მძლეოსნობა.** საკავშირო შეჯიბრება ხტომებში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვ. სანეევის პრიზზე. **სოხუმი.**

**15. მძლეოსნობა.** საკავშირო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის გმირ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის პრიზზე — ტყორცნები. **ლესელიძე.**

**18-22. ჩოგბურთი.** საქართველოს პირველობა 1970-73 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. **თბილისი.**

**18-23. ფრენბურთი.** საქართველოს პირველობა — ვაჟები. წინასწარი შეხვედრები. **ქუთაისი.**

**18-23. ფრენბურთი.** საქართველოს პირველობა — ქალები. წინასწარი შეხვედრები. **სოხუმი.**

**20-22. მძლეოსნობა.** რესპუბლიკის პირველობა ოთხჭიდში — „მეგობრობა". **თბილისი.**

**20-25. ხელბურთი.** საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. II წრე. **ქუთაისი.**

**27-29. მძლეოსნობა.** საქართველოს პირველობა 1971-72 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. **ქუთაისი.**

**30.V-4.VI. თანამედროვე ხუთჭიდი.** ახალგაზრდული რესპუბლიკური თამაშები. **თბილისი.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** შედგა სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, VIII ტურის მატჩები.

**თბილისის დინამოელებმა თავიანთ მოედანზე დონეცკის „შახტიორს" უმასპინძლეს. ეს მატჩი „დინამომ" ალმავლობით ჩაატარა და გაიმარჯვა — 2:0. ბურთები გაიტანეს გურულმა (პენალტით) და შენგელიამ.**

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:

„ლოკომოტივი" — „ტორპედო" 1:1

„ზენიტი" — „კაირატი" 2:1

„არარატი" — „დნეპრი" 0:0

„ნეფთჩი" — „ჩერნომორეცი" 2:0

„ჟალგირისი" — „მეტალისტი" 2:1

# 4 და 18 მაისს

**„ესპანიოლი" (ბარსელონა) — „ბაიერი" (ლევერკუზენი)**

როგორც ესპანურმა, ისე დასავლეთგერმანულმა კლუბმა ფინალამდე ძნელი გზა გაიარა და შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია. „ესპანიოლმა" გათამაშებიდან გამოთიშა მიონხენგლადბახის „ბორუსია" (გფრ) — 1:0, 4:1, „მილანი" (იტალია) — 2:0, 0:0, მილანის „ინტერი" (იტალია) — 1:1, 1:0, „ვიტკოვიცე" (ჩეხოსლოვაკია) — 2:0, 0:0, „ბრიუგე" (ბელგია) — 0:2, 3:0.

ლევერკუზენის „ბაიერი" შეხვდა ვენის „აუსტრიას" (ავსტრია) — 0:0, 5:1, „ტულუზას" (საფრანგეთი) — 1:1, 1:0, როტერდამის „ფეიენოორდს" (ჰოლანდია) — 2:2, 1:0, „ბარსელონას" (ესპანეთი) — 0:0, 1:0 და თავისივე ქვეყნის „ვერდერს" (ბრემენი) — 1:0, 0:0.

„ესპანიოლი" ესპანეთის ერთ-ერთი უძველესი კლუბია, მისი სრული სახელია „რეალ კლუბ დეპორტივო ესპანიოლი". 1929 და 1940 წლებში იგი ამ ქვეყნის თასს დაეუფლა, 1933, 1967, 1973 და 1987 წლების ჩემპიონატებში კი მესამე საპრიზო ადგილს ფლობდა. კლუბის ისტორიაში ყველაზე სახელოვანი მოთამაშე ლეგენდარული მეკარე რიკარდო ზამორა გახლავთ.

ბოლო წლებში შედარებით უფერული შედეგების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. შარშან „ესპანიოლს" სათავეში ჩაუდგა ბილბაოს „ატლეტიკის" ყოფილი მწვრთნელი ხ. კლემენტე. მან შემადგენლობა მკვეთრად გააახალგაზრდავა და ესპანელ ჟურნალისტ ფ. სტაატსმანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პატარა სასწაული" მოახდინა. გავიხსენოთ, რომ შარშან, ექსპერიმენტის სახით, ესპანეთის ჩემპიონატი ორსაფეხურიანი იყო (შემდეგ აქ ისევ ტრადიციულ სისტემას დაუბრუნდნენ), „ესპანიოლი" ჯერ ფინალურ ექვსეულში მოხვდა, შემდეგ კი ფრიად საპატიო მესამე ადგილზე გავიდა.

წლეულს „ესპანიოლი" ეროვნულ ჩემპიონატში წარუმატებლად თამაშობს და სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში იმყოფება.

ლევერკუზენის „ბაიერი" მხოლოდ 1979 წელს გადავიდა ბუნდესლიგაში. მაშინ მას მწვრთნელი ვ. კრემერი ედგა სათავეში. მომდევნო წლებში გუნდს ხელმძღვანელობდა ცნობილი სპეციალისტი დ. კრამერი. „ბაიერი" შესამჩნევად მომძლავრდა, მას ახლა წვრთნის ევროპაში კარგად ცნობილი მწვრთნელი ერის რიბეკი, რომელიც ადრე გფრ-ის ნაკრების ხელმძღვანელის ი. დერვალის თანაშემწე იყო. რიბეკმა განაცხადა, რომ ეს სეზონი „ბაიერში" მისთვის უკანასკნელია და თავის პოსტს გადაულოცავს ჰოლანდიის ნაკრების ახლანდელ მწვრთნელ რინუს მიხელსს.

## უეფა-ს თასზე

ბუნდესლიგის 1986-87 წლების ჩემპიონატში „ბაიერმა" კარგად ითამაშა, მეექვსე ადგილზე გავიდა და უეფა-ს თასზე თამაშის უფლება მოიპოვა.

„ბაიერის" შემადგენლობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა გფრ-ის ნაკრების წევრი როლფი. მის გარდა, გფრ-ის ნაკრებში გამოდის ფალკენმაიერიც. გუნდში ორი უცხოელი მოთამაშეა — პოლონელი ნახევარმცველი ბუნცოლი და ცნობილი სამხრეთკორეელი თავდამსხმელი ბუმ კუნ ჩა.

**გივი თორელი.**

**ფეხბურთი**

## სსრ კავშირის თასზე



# ფინალი — მერმისს

**3 მაისს** გაიმართება სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 1988-89 წლების გათამაშების სამოცდამეოთხედფინალური მატჩები. ამ ეტაპზე შეჯიბრებაში მონაწილეობენ პირველი და მეორე ლიგების გუნდები.

თბილისის „შევარდენი"სპი მიიღებს აბოვიანის „კოტაიკს", ფოთის „კოლხეთი" — ორჯონიკიძის „სპარტაკს", ხოლო ქუთაისის „ტორპედო" — ვოლგოგრადის „როტორს".

სამტრედიაში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ლოკომოტივი" და სოხუმის „დინამო".

ლანჩხუთის „გურია" ყაზანში შეხვდება „რუბინს", ბათუმის დინამოელები კი სვერდლოვსკში ითამაშებენ „ურალმაშთან".

# მთავარი პრიზი ახმეტელ მოჭიდავეს

**საგარეჯოში** ჩატარდა 1971-1973 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ჭაბუკი სპორტსმენები. ჩამოსულმა სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს ამ ქალაქის მკვიდრის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, 40-50 წლების ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავის არსენ მეკოკიშვილის საფლავი.

ტურნირზე გათამაშდა ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზი, რომელიც ახმეტელმა გ. გავარდაშვილმა დაისაკუთრა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ი. გაბრიელაშვილი (დუშეთი), ა. ყარმაზანაშვილი (ახმეტა), გ. მამისაშვილი (საგარეჯო), მ. ბერიანიძე (ყვარელი), ბ. ჯანიაშვილი (კასპი), მ. კურდღელაშვილი (საგარეჯო), დ. დელიბაშვილი (გარდაბანი), დ. ჭიაბერაშვილი (საგარეჯო), მ. პარწიკაშვილი (თბილისი), ა. ფოთოლაშვილი (დუშეთი), ზ. ომარაშვილი (ახმეტა), გ. გაჩეჩილაძე (ზესტაფონი), გ. გავარდაშვილი (ახმეტა), შ. ბექაური (თბილისი).

**იოსებ ჯაბადარი.**

## საჭადრაკო კომპოზიცია ~~~ ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

### საპირველმაისო ამოცანა

**სადღესასწაულო** ან საიუბილეო დღეებში საჭადრაკო პრესაში ხშირად ჩნდება დიაგრამები, სადაც ფიგურები სიმბოლურად გამოსახავს რაიმე საგანს, რიცხვს, ასოს და სხვ. ასე ეხმაურებიან საჭადრაკო კომპოზიტორები ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღებს ან მოვლენებს. აღნიშნულ ჟანრს, რომელიც საკმაოდ პოპულარულია საჭადრაკო სამყაროში, სახვითი კომპოზიცია ეწოდება. ამ ტიპის ნაწარმოებებს ერთგვარი პირობითობა ახასიათებს და მხატვრულობის საზომიც მათ მიმართ შემსუბუქებულია.

ცნობილი ქართველი პრობლემისტი, რუსთაველი პედაგოგი გივი მოსიაშვილი ამ ორიგინალური კომპოზიციით, რომელიც გრაფიკულად მაისის პირველ დღეს აღნიშნავს, გაზაფხულის და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის ზეიმს ულოცავს ჩვენი გაზეთის მკითხველებს და ჭადრაკის მოყვარულებს.

**გ. მოსიაშვილი**
**(იბეჭდება პირველად)**



**შამათი 2 სვლაში**

იმედია, ამ მარტივ ხუთფიგურიან („პაწია") ამოცანას მკითხველები უდაფოდ ამოხსნიან. ჩვენ კი, მის მაგალითზე რამდენიმე საყურადღებო ცნობა გვინდა მივაწოდოთ კომპოზიციის მოყვარულებს. საწყის პოზიციაში არსებობს **წინასწარი თამაში**: 1. ...მფc4, მფe4 2. ლb4, ლf4X. მაგრამ, რადგან თეთრებს ლოდინის სვლა, რომელიც თამაშის დაწყების უფლებას მეტოქეს „დაუთმობდა", არა აქვთ, ისინი ქმნიან ახალ, ე. წ. **ნამდვილ თამაშს** — 1. ლd7 ცუგცვანგი! ახლა შავების სიმეტრიული „დაცვები" იგივეა (1. ...მფc4, მფe4), თეთრების დამაშამათებული სვლები და საშამათო სურათები კი — სხვა: 2. ლa4, ლg4X. ასეთ ამოცანას, სადაც წინასწარ თამაშში შავების ყველა სვლაზე შამათია მოსალოდნელი, რაც ცხადია, ამოხსნაში ვერ ხორციელდება, **ბლოკის** ტიპი ეწოდება. იგი **უბრალო შეცვლის** თემაზეა (დაცვები არ იცვლება, ხოლო შამათები — იცვლება) შედგენილი. და კიდევ, თუ ამ ამოცანის პოზიციას უკვე თეთრების პირველი სვლის (1. ლd7) შემდეგ განვიხილავთ, მივიღებთ, ახალ ორსვლიანს, სადაც წინასწარი და ნამდვილი თამაში ერთმანეთს შეენაცვლება და ამოხსნა იქნება 1. ლd6! ასეთი ტიპის ნაწარმოებებს **გაგრძელებული ამოცანები** ჰქვია. დაბოლოს, დიაგრამაზე პაიკები არ არის, უპაიკო კომპოზიციას კი „არისტოკრატი" ეწოდება. აი, რამდენ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ეს „პაწია"!

### განჭვრეტა

რას გვასწავლის ჭადრაკი? ამ ბრძნული თამაშის არსის გარკვევა და ზემოთ დასმულ რიტორიკულ კითხვაზე პასუხის გაცემა ზევრს უცდია. საინტერესოა გავიხსენოთ, თუ რას წერდა ჭადრაკის თამაშის ზნეობისადმი მიძღვნილ ნაშრომში XVIII საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი პროგრესული მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე ბენჯამინ ფრანკლინი. მისი სიტყვებით, ჭადრაკის თამაშით ადამიანმა შეიძლება ისწავლოს I. განჭვრეტა, შეიძინოს მომავლის ხედვისა და შედეგის შეფასების უნარი; II. წინდახედულება, საჭადრაკო დაფის, ანუ ბრძოლის ველის აღქმა, შეიცნოს სხვადასხვა ფიგურის ურთიერთობა და განლაგება, მეტოქის სავარაუდო სვლები, რათა საკადრისი სვლები მოამზადოს; III. სიფრთხილე, აუჩქარებლობა, რაც ავტორის აზრით, საუკეთესოდ დასტურდება თამაშის შემდეგი კანონით: „თუ თქვენ შეეხეთ ფიგურას, იმით უნდა ითამაშოთ; თუ ის სადმე დასვით, იდგეს იქ! და ამიტომ ძალიან კარგია, რომ ეს წესები უნდა შესრულდეს, ვინაიდან თამაში ცხოვრების და, განსაკუთრებით, ომის ანარეკლი ხდება, სადაც პასუხი უნდა ვაგოთ ყველა გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგზე. დასასრულ, ვთამაშობთ რა ჭადრაკს, ვიმუშავებთ ჩვევას, სულით არ დავეცეთ ჩვენი საქმეების არსებული მდგომარეობის დროს, გვქონდეს სასურველი გარდაქმნების იმედი და შეუპოვრად განვაგრძოთ ახალი შესაძლებლობების ძიება".

ჩამოთვლილ ღირსებათა ბევრი მაგალითი შეიძლება მოიძებნოს საჭადრაკო კომპოზიციაშიც.

**ი. ჰერცფელდი, 1974**



**შამათი 4 სვლაში**

ამ ამოცანის ამოხსნას „წინასწარმეტყველური" ალღო სჭირდება. წინაამდეგ შემთხვევაში ძნელია პატში მყოფი შავი მეფის დატყვევების გეგმის, მოძებნა და საშამათო ფინალის წარმოდგენა. 1. ეf1!! ერთი შეხედვით სრულიად გაუგებარი სვლა, მაგრამ მასში ძლიერ იკვეთება ჭადრაკისათვის დამახასიათებელი თვისებები: საიდუმლოება, ლოგიკურობა, ფანტასტიკურობა. თუ პირველ სვლას გამოვიცნობთ, შემდეგ ყველაფერი ნათელი ხდება: 1. ...fgლ+ 2. კ:g1 f2 3. კh2.

ამოსახსნელად გთავაზობთ შვეიცარიელი პრობლემისტის ოთხსვლიან ამოცანას. შეამოწმეთ თქვენი განჭვრეტის უნარი.

**ჰ. ბეკი, 1964**



**შამათი 4 სვლაში**

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

### ამოხსნა

„ლელოს" 17 აპრილის ნომერში დაბეჭდილი ო. ტაბიძის ხუთსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. კc5 მფa6 2. ეb4 მფa5 3. a4 მფa6 4. ეb8 მფa5 5. ეa8X, 1. ...მფa4 2. ეb6 მფa5 3. კd4 მფa4 4. კc3 მფa3 5. ეa6X. ა. პოპანდოპულოს ოთხსვლიანი ამოცანის ამოხსნა: 1. ლh1! d5 2. ლa1+ მფb8 3. მფ:d5 ეa7 4. ლh8X, 1. ...მფa8 2. მფd5 მფa7 3. ლh8 ეb8 4. ლa1X.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა ორივე ამოცანის ზუსტად გაფორმებული პასუხი: რ. ვაჩაძე (ნიკორწმინდა, ამბროლაურის რ.), ე. საბეკია (ცირცხი, ჩხოროწყუს რ.), რ. გურული (ქვ. საქარა, ზესტაფონის რ.), მზია შავდათუაშვილი (გორი), ნ. და რ. კახიძეები (ბათუმი), ვ. ბოჭორიშვილი, პ. გიორგაძე (ორივე — თერჯოლა), ლია ურუშაძე, ნატო ლასხიშვილი (ორივე — ლიხაური, მახარაძის რ.), მ. კობახიძე, ვ. ჩაჩანიძე, ო. მამულაშვილი, რ. ჩაგელიშვილი (ყველა — თბილისი).

## „კვიმატი ობიექტივი"

„კვიმატი ობიექტივის" ფოსტის გადათვალიერება გვარწმუნებს, რომ ბოლო ხანს ეს რუბრიკა საოჯახო გასართობად იქცა: იმატა ბარათებმა, რომლებსაც გვიგზავნიან მეუღლეები, მამა-შვილი, და-



ძმა და ა. შ. ამ ფოტოსაც პირველი გამოეხმაურა თბილისელი ცოლქმარი — ალექსანდრე და ფოთოლა ბერუაშვილები. მათ ორი ვარიანტი შემოგვთავაზეს: „დიდ კაცთან პატარა კაცსა..." და „თუ წაგაქცია ძამია, რა ვქნა, რა ჩემი ბრალია". [illegible] კალევრისაც [illegible] კაცის საცოდაობა [illegible] ამ ფოტოს მისი წარწერა ბერუაშვილების პირველ ვარიანტს დაემთხვა. ამავე ქალაქის მცხოვრებლების, „კვიმატი ობიექტივის" „მუდმივი ავტორების", მამა-შვილის რომიკო და ივერი თაბაგარების აზრით, „გაიმარჯვა მეგობრობამ". გორის მე-4 საშუალო სკოლის VII-ა კლასის მოსწავლემ პავლე ხვადაგაძემ კი გადაწყვიტა უფროსების დაუხმარებლად ეცადა ბედი და მიზანსაც მიაღწია — მართლაც კვიმატი წარწერა შეარჩია: „ტრაბახა მეთევზეები".

საინტერესო წარწერები გამოგვიგზავნეს ნონა შანავამ, ზურაბ შავაძემ, თეიმურაზ ჯაფარიძემ, ელგუჯა ბესტავაშვილმა, ბელა ბერიამ, რევაზ კაპანაძემ და სხვებმა.

**გთავაზობთ მორიგ ფოტოს**



„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 მაისს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:** ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 2 ერთეული; ტანვარჯიშის კათედრის მასწავლებელი (მხატვრული ტანვარჯიში) — I ერთეული; სპორტული მედიცინის კათედრის უფროსი მასწავლებელი — I ერთეული; სათხილამურო კათედრის უფროსი მასწავლებელი — I ერთეული; მძლეოსნობის კათედრის მასწავლებელი — I ერთეული.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49, ტელ. 23-09-02.



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

**4 მაისი ● ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) —**

**„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)**

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 1 მაისიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 3 მაისს.

სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 3 მაისს. დასაწყისი 18 საათზე. უამინდობის შემთხვევაში თამაში გადატანილი იქნება „ლოკომოტივის" სტადიონზე იმავე დროს.

**გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი**

**2 მაისი**
**ფეხბურთი**

**სსრ კავშირის თასი**

**„შევარდენი"-სბი (თბილისი)— „კოტაიკი" (აბოვიანი)**

დასაწყისი 17 საათსა და 30 წუთზე.

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭო 2 მაისს რიყის უბანში ატარებს მასობრივ სპორტულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს. დასაწყისი 12 საათზე. 7-9 მაისს კი ბაზალეთის ტბის მიდამოებში მოეწყობა ტურისტული ლაშქრობა-შეკრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურის კოლექტივები და სპორტული კლუბები.

## „სპორტპროგნოზი" მე-19 ტირაჟის პროგრამა (8-9 მაისი)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი** | | | | |
| 1. „დინამო" (მინსკი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 8.V | 50 | 30 | 20 |
| 2. „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (კიევი) | 8.V | 20 | 60 | 20 |
| 3. „დინამო" (მოსკოვი) „ტორპედო" (მოსკოვი) | 8.V | 20 | 20 | 60 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 4. ასკ (როსტოვი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) | 8.V | 70 | 20 | 10 |
| 5. „ზვეზდა" (პერმი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) | 9.V | 10 | 50 | 40 |
| 6. „გეოლოგი" (ტიუმენი) — „დაუგავა" (რიგა) | 9.V | 30 | 50 | 20 |
| 7. „კუზბასი" (კემეროვო) — „კოტაიკი" (აბოვიანი) | 9.V | 80 | 10 | 10 |
| 8. „დინამო" (სტავროპოლი) — „პამირი" (დუშანბე) | 9.V | 60 | 30 | 10 |
| 9. „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 9.V | 30 | 40 | 30 |
| 10. „შინიკი" (იაროსლავლი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 9.V | 60 | 30 | 10 |
| 11. „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) | 9.V | 80 | 10 | 10 |
| 12. „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „გურია" (ლანჩხუთი) | 9.V | 40 | 50 | 10 |
| 13. „როსტსელმაში" (როსტოვი) — „დინამო" (ბათუმი) | 9.V | 70 | 20 | 10 |

## „სპორტპროგნოზი"

**მე-17 ტირაჟის შედეგები**
**(24-25 აპრილი)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" მე-17 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 24-25 აპრილს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 5.806.730 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1.263) მოგებამ შეადგინა 68 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (23.444) — 7 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (140.887) — 4 მანეთი.

მე-17 ტირაჟის მოგებები გაიცემა 15 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 1 მაისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.00 (1)**.

**2 მაისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.15 (1)**; საფეხბურთო მიმოხილვა **16.55 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: ნახევარფინალი — **18.00 (2)**.

**3 მაისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **9.35 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: ნახევარფინალი — **19.25 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **21.15 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 2 მაისი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **16.55.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 ✤ 8 ✤ 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05322